ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 63

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. ბათუმი 06 სექტემბერი 2013 წელი

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კერძოდ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის, 1-ლი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება", წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის, დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის – ნინო კერვალიშვილის სახით (შემდგომში – „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს „გიოსა", წარმოდგენილი დირექტორის - ნესტორ ჭეფხოძის სახით (შემდგომში – „მიმწოდებელი"), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის წინამდებარე ხელშეკრულების დანართით (ფორმა 3) გათვალისწინებული საშუალო ძაბვის კაბელის (კლასიფიკატორის კოდი: 31321220) (შემდგომში – საქონელი) მიწოდება.

2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, შემსყიდველს საქონელი მიაწოდოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებში.

ბ) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემოწმების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

2.2. შემსყიდველი ვალდებულია:

შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3. ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები

3.1. საქონლის მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 105 (ასხუთი) ლარს. საქონლის რაოდენობა და ერთეულის ფასი განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულების დანართით (ფორმა 3).

3.2. შემსყიდველი მიმწოდებლისათვის საქონლის ღირებულების ანგარიშსწორებას ახორციელებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე.

გადარიცხვის ფორმით, შესაბამისი სასაქონლო ზედნადების (საგადასახადო ანგარიშფაქტურის) და მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 10 დღის ვადაში.

3.3. ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.

4. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

4.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

4.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

4.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასების შეცვლა შეიძლება მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

ა) ეროვნული ვალუტის კურსის ცვალებადობის მიხედვით აღნიშნული კურსის აბსოლუტური მნიშვნელობის 5%-ზე მეტი ცვლილების შემთხვევაში, როგორც ზრდის, ასევე შემცირების შემთხვევაში;

ბ) საგადასახადო რეჟიმის შეცვლის შემთხვევაში, რაც უშუალო ზეგავლენას მოახდენს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე და გაზრდის ან შეამცირებს ფასებს 5%-ით ან მეტით;

გ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალის-წინებული გარემოებების არსებობისას.

4.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

5. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებ-ლობის, შესრულების ვადების დაგვიანებისა ან/და არაჯეროვანი შესრულები-სათვის მხარეები პასუხს აგებენ ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

6.2. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულე-ბის ვადების გადაცილების შემთხვევაში, ვადის გადამცილებელი მხარე ვალდე-ბულია ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის მეორე მხარეს პირგასამტეხ-ლოს სახით აუნაზღაუროს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%-ი.

6.3. იმ შემთხვევაში თუ ვადის გადაცილებისათვის გადახდილი ან/და გადასახდელი პირგასამტეხლოს მთლიანი თანხა გადააჭარბებს ხელშეკრუ-ლების მთლიანი ღირებულების 2%-ს, მაშინ ხელშეკრულების მოქმედება ვადამდე წყდება.

7. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

7.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ;

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი მომსახურება ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

7.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.3. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

7.4. 7.3. პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული მომსახურების ღირებულება.

8. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განხორციელების მიზნით შემსყიდველი ორგანიზაცია გამოყოფს კოორდინატორს, რომლის ფუნქციები განისაზღვრება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

9. საქონლის მიღება-ჩაბარება

9.1. საქონლის მიღება-ჩაბარება ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის შედგენით, რომელსაც ადასტურების ხელშეკრულების ორივე მხარე.

9.2. საქონლის მიღება-ჩაბარებას შემსიდველის მხრიდან ახორციელებს შემსყიდველის მიერ გამოყოფილი შესყიდვების კოორდინატორი.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს მხარეთა პასუხისმგებლობას ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან (თუ იგი გამოწვეული იყო მესამე პირის ბრალეული მოქმედებით, უბედურება, ხანძარი, ომი, მთავრობის დადგენილება ან მიმწოდებელთან შექმნილი ავარიული სიტუაცია და სხვა).

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს თავისი ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოების ზეგავლენისაგან.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვაროს ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. შეტყობინება

12.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

12.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლისათვის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2013 წლის 1 ნოემბრამდე.

14. გადასახადები და გაშები

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

15. სხვა პირობები

15.1. ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 ეგზემპლარად, რომლის თითო ეგზემპლიარი გადაეცემა ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს.

15.2. მისამართის ან მომსახურე ბანკის რეკვიზიტების შეცვლის შემთხვევაში მხარეები ვალდებულნი არიან 10 დღის განმავლობაში აცნობონ ერთმანეთს ამის შესახებ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ა.(ა).ი.პ.– „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება”	შპს „ბიოსა”
ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. №25	ქ. ბათუმი, ლეონიძის 25 ს/ნ 245620804 ს.ს. „საქართველოს ბანკი” კოდი BAGAGE22
საიდენტიფიკაციო კოდი: 445393510	ან.№GE62 BG 0000000 264731900 GEL
დირექტორის მოადგილე,	დირექტორი:
დირექტორის მ/მ:	ნესტორ ჯეფხოძე
ნინო პერვაზეიშვილი	
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)

დანართი (ფორმა 3)

N	საქონლის დასახელება	რაოდენობა (მეტრი)	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება
1	საშუალო მაბვის კაბელი (ავვგ 3/25+1+16)	30	3.50	105.00
	სულ ჯამი:			105.00